ფაქტორინგის ხელშეკრულება
ფულადი მოთხოვნის დათმობის შესახებ

ქ. თბილისი __ _____ *202-- წელი*

ერთის მხრივ **სს „ბანკი ქართუ"** (შემდგომში "ბანკი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- მიერ
და
მეორეს მხრივ **----------** (შემდგომში "კომპანია") წარმოდგენილი ---- (პირადი N---) მიერ,

(ქვემოთ თითოეული მხარე მოხსენიებული როგორც "მხარე", ერთობლივად მოხსენიებული როგორც "მხარეები") ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. განმარტებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში ტერმინებს და გამოთქმებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

· **ფაქტორინგი** – წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობს კომპანიის მიერ დებიტორის მიმართ არსებული ფულადი მოთხოვნის ბანკისათვის გადაცემის (დათმობის) სანაცვლოდ ბანკის მიერ კომპანიისთვის მოთხოვნის დათმობის საფასურის გადახდას დებიტორთან შეთანხმებული წინასწარი დაფინანსების ფარგლებში; ფაქტორინგი ხორციელდება რეგრესის უფლების გარეშე, რაც გულისხმობს, რომ ბანკი არ მოსთხოვს კომპანიას დებიტორის მიმართ არსებული დათმობილი ფულადი მოთხოვნიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულებების შესრულებას დებიტორის ნაცვლად. აღნიშნული არ ზღუდავს ბანკის უფლებას, მასსა და დებიტორს შორის შეთანხმებული პირობებით ან/და კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსთხოვოს დებიტორს კომპანიის მიერ ბანკისათვის დათმობილი ფულადი ვალდებულებების შესრულება;

· **მოთხოვნის დათმობა** - კონტრაქტიდან გამომდინარე კომპანიის მიერ ბანკისათვის დებიტორის მიმართ კომპანიის არსებული ან/და სამომავლო ფულადი მოთხოვნის დათმობა, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ბანკის თანხმობის (აქცეპტი) საფუძველზე;

· **წინასწარი დაფინანსება** – ბანკსა და დებიტორს შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად ბანკის მიერ დებიტორისთვის წინასწარ გამოყოფილი დაფინანსების ლიმიტის ნაწილი, რომელსაც ბანკი მოთხოვნის დათმობის სანაცვლოდ გადაუხდის კომპანიას;

· **დებიტორი** – დასახელება ს/ნ ----------, რომლსაც ბანკი მასთან შეთანხმებული პირობებით უწევს მომსახურებას;

· **კონტრაქტი** - კომპანიას და დებიტორს შორის დადებული გარიგება კომპანიის მიერ საქონლის მიწოდების/ნასყიდობის, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის თაობაზე გადახდის განვადების პირობით.

· **საბანკო ანგარიში** – კომპანიის წინამდებარე ხელშეკრულების მუხლი 7 -ში განსაზღვრული საბანკო ანგარიშ(ებ)ი;

· **მოთხოვნის დოკუმენტი** - ბანკსა და დებიტორს შორის შეთანხმებული ფორმით გაფორმებული ხელშეკრულება წინასწარი დაფინანსების შესახებ, რომელსაც აუცილებელი წესით თან ახლავს კომპანიას და დებიტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულება/ხელშეკრულებები და შესაბამისი ინვოის(ებ)ი ან/და ბანკის მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტი;

· **მოთხოვნის დათმობის საფასური** - მოთხოვნის დოკუმენტით განსაზღვრული თანხა ან მისი ნაწილი, რომლის წინასწარი დაფინასებაზეც ბანკმა გამოხატა თანხმობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და მის საფუძველზე კომპანია კისრულობს ვალდებულებას დაუთმოს (გადასცეს) ბანკს დებიტორის მიმართ არსებული ფულადი მოთხოვნა გამომდინარე კონტრაქტიდან, რის სანაცვლოდაც ბანკი გაუწევს კომპანიას ფაქტორინგულ მომსახურებას, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

2.2. ფულადი მოთხოვნის გადაცემით კომპანია ადასტურებს, რომ ფულადი მოთხოვნა არ არის სადავო და არ ექვემდებარება დებიტორის ან კომპანიის მხრიდან რაიმე სახის გამოქვითვას ან შემცირებას ან გაუქმებას და ფულადი მოთხოვნა არ არის უზრუნველყოფილი რაიმე სახის ქონებით ან საბანკო გარანტიით.

მუხლი 3. დაფინანსების წესი და პირობები

3.1. დებიტორის მიერ ბანკისათვის წინასწარი დაფინანსების მისაღებად მოთხოვნის დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში, თუ ბანკი თანახმაა წინასწარი დაფინანსების გაცემაზე, იგი ამის შესახებ ატყობინებს დებიტორს და მათ

შორის ფორმდება შესაბამისი დანართი . აღნიშნულის შესახებ საინფორმაციო ხასიათის ინფორმაცია ასევე ეგზავნება კომპანიას წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული კომუნიკაციის წესით. წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული პირობების შესრულების შემდეგ ფულადი მოთხოვნა მიიჩნევა ბანკის სასარგებლოდ დათმობილად.

3.2. კომპანიის მიერ დებიტორის მიმართ არსებული ფულადი მოთხოვნის ბანკისათვის გადაცემით ბანკზე გადავა ფულად მოთხოვნასთან დაკავშირებული ყველა უფლება.

3.3. ბანკი კომპანიას უხდის მოთხოვნის დათმობის საფასურს დებიტორის მიერ მოთხოვნის დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს ---------- სამუშაო დღისა. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში ბანკისთვის დათმობილი მოთხოვნის უფლება უბრუნდება საკუთრებაში კომპანიას.

3.4. მოთხოვნის დათმობის საფასურის გადახდა კომპანიისთვის ხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ კომპანიის საბანკო ანგარიშებზე შესაბამისი თანხების გადარიცხვის გზით. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკის მიერ თანხის საკუთარი ანგარიშიდან გადარიცხვა ითვლება მოთხოვნის დათმობის საფასურის გადახდის შესრულებად.

3.5. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი განახორციელებს წინასწარ დაფინანსებას კომპანიისთვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, ხოლო დებიტორის მიერ შეცდომით წარდგენილი მოთხოვნის ან სხვა მიზეზის გამო ფულადი მოთხოვნის თანხის ჩარიცხვა კომპანიის ანგარიშზე მოხდება არასწორად, ჩარიცხული თანხა ჩაითვლება კომპანიის ანგარიშზე დებიტორის მიერ განთავსებულ ავანსად. აღნიშნულ შეთხვევაში ბანკი უფლებამოსილია დებიტორს სრულად მოთხოვოს შეცდომით/არასწორად ჩარიცხული თანხის დაბრუნება.

3.6. კომპანია ადასტურებს, რომ მოთხოვნის დოკუმენტის შემადგენელი, ინვოისი საბოლოოა და კორექტირებას არ ექვემდებარება. თუმცა, თუ რაიმე გამონაკლისი მიზეზით მოხდება აღნიშნული ინვოისის კორექტირება, არც კრედიტორს და არც ბანკს არ წარმოეშვებათ ერთმანეთის მიმართ რაიმე სახის ვალდებულებები.

3.7. თუ ბანკმა გადაიხადა მოთხოვნის დათმობის საფასური და აღმოჩნდა, რომ (ა) დათმობილი (გადაცემული)მოთხოვნა გაბათილდა და აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოდგენილი იქნება სასამართლოს შესაბამისი აქტი ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტი; ან/და (ბ) დათმობილი (გადაცემული) მოთხოვნა აღმოჩნდება უფლებრივად ნაკლიანი კომპანია ვალდებულია დაუბრუნოს ბანკს მოთხოვნის დათმობის საფასური ბანკის მიერ მოთხოვნის წარდგენიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში (თუ ბანკის წერილობით მოთხოვნაში მითითებული არ არის სხვა ვადა).

მუხლი 4 . კომუნიკაციის განსაკუთრებული პირობა

4.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მოთხოვნის დათმობისა პროცესში მხარეთა შორის კომუნიკაცია დასაშვებია განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

4.2. მოთხოვნის დათმობის პროცესში მხარეებს შორის კომუნიკაციისთვის მხარეები გამოიყენებენ ელექტრონული ფოსტის შემდეგი მისამართებს : ბანკი:-------; კომპანია------.

4.3. მხარეები ადასტურებენ, რომ ელექტრონული ფოსტით განხორციელებულ მიმოწერას და თანდართულ დოკუმენტებს აქვს/აქვთ მატერიალური სახით დოკუმენტების გაცვლის ტოლფასი სამართლებრივი ძალა და იწვევენ შესაბამის სამართლებრივ შედეგებს. ამასთან, მიუხედავად წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული პირობისა, ბანკი უფლებამოსილია კომპანიას მოსთხოვოს ნებისმიერი დოკუმენტის დედნის წარდგენა და აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში უარი თქვას წინასწარ დაფინანსებაზე.

მუხლი 5 . მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. კომპანია ვალდებულია:

5.1.1. ბანკს გადასცეს უფლებრივად უნაკლო ფულად მოთხოვნები, რომელიც თავისუფალი იქნება ნებისმიერი მესამე პირის პრეტენზიისა და მოთხოვნისაგან. კომპანია ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს ფულად მოთხოვნასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი სახის მესამე პირის პრეტენზიის ან მოთხოვნის შესახებ;

5.1.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში არ დაუთმოს ნებისმიერ მესამე პირს ბანკისთვის უკვე დათმობილი მოთხოვნა ან/და გაქვითოს ან გააუქმოს მოთხოვნის დოკუმენტიდან დებიტორის მიმართ წარმოშობილი რაიმე უფლება;

5.1.3. არ განახორციელოს ფულადი მოთხოვნების დატვირთვა რაიმე ვალდებულებით ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

5.2. ბანკსა და დებიტორს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, რომელიც უკავშირდება ბანკის მიერ თავისი უფლებების განხორციელებას გადაცემულ ფულად მოთხოვნებთან მიმართებაში, კომპანია ვალდებულია ბანკის მოთხოვნისთანავე გონივრულ ვადაში მიაწოდოს მას ყველა დოკუმენტი, რაც კომპანიას გააჩნია ან შეუძლია მიიღოს აღნიშნულ სადავო საკითხთან დაკავშირებით, ასევე სრული ინფორმაცია, რასაც კომპანია ფლობს ან შეუძლია მიიღოს აღნიშნულ სადავო საკითხთან დაკავშირებით.

5.3. ბანკი უფლებამოსილია, კომპანიასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი მიაწოდოს გარე აუდიტორს, კონსულტანტს, მრჩეველს, იურიდიულ ფირმას რომელიც ბანს უწევს პროფესიულ მომსახურებას ან/და ბანკის მიერ შერჩეულ მხოლოდ იმ მესამე პირს, რომელთანაც ბანკს გაფორმებული ექნება ხელშეკრულება კონფიდენციალობის დაცვის შესახებ.

5.4. მხარეები ვალდებული არიან სათანადოდ შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულებიდან და კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა ჯეროვანი შესრულება.

მუხლი 6 . სხვა პირობები

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებათა სრულ შესრულებამდე.

6.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებებისა და დამატების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით და ისინი განიხილებიან, როგორც წინამდებარე ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილები.

6.3. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

6.4. ნებისმიერი დავა, გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან, დაკავშირებული მის გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან (მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან), განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

6.5. ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას.

6.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 თანაბარძალოვან იურიდიულ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი დარჩება ბანკში, ერთი კი გადაეცემა კომპანიას.

მუხლი 7 . მხარეთა რეკვიზიტები.

<u>ბანკი</u>	<u>კომპანია</u>
სს „ბანკი ქართუ” საიდენტიფიკაციო ნომერი: 204891652 მისამართი: საქართველო, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ N39ა ტელეფონი: ელ. ფოსტა:	***დასახელება*** საიდენტიფიკაციო ნომერი: ---------- მისამართი: ---------- ტელეფონი: ელ. ფოსტა: ანგარიშის ნომერი: --------
---------- დირექტორი სახელი გვარი (პ,ნ: ----------)	თანამდებობა სახელი გვარი (პ/ნ: ----------)